საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №143/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- დირექტორის -- -- 2020 წლის 7 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 5 თებერვლის №143/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლემ დაარღვია დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების ვადა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2015 წლის 27 იანვარს, -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით (-- ლარი).

-- საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

საჩივარი განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --, ხოლო 2019 წლის 15 ივლისიდან კი, მოსამართლის სხვა კატეგორიის დავებში განმხილველ პალატაში გამწესების გამო, საქმე გადაეცა მოსამართლე -- --. მოსამართლე -- -- საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლედ გამწესების გამო საქმე განსახილველად გადაეცა -- --. 2020 წლის 26 მარტიდან, მოსამართლე -- -- სხვა კატეგორიის დავების განმხილველ პალატაში გამწესების გამო, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

საქმეზე გადაწყვეტილება მოსამართლემ 2020 წლის 24 სექტემბერს გამოაცხადა, -- -- საჩივარი დაკმაყოფილდა და გაუქმდა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. -- -- -- -- სასარგებლოდ დაეკისრა -- ლარის ანაზღაურება.

საქმეში დევს -- -- მიერ 2020 წლის 16 ოქტომბერს წარდგენილი ერთი განცხადება გადაწყვეტილების მოთხოვნით.

2020 წლის 2 ნოემბერს -- -- წარმომადგენელმა მეორე ინსტანციის გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკასაციო საჩივრით.

საქმის განხილვა მიმდინარეობს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2.2.-- სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოსამართლე -- -- 2020 წლის სტატისტიკური მონაცემებით განსახილველად ეწერა - 252 სარჩელი, ხოლო ამათგან დაასრულა - 115 სამოქალაქო საქმე (45%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 5 თებერვლის დასკვნა:

-- -- დირექტორის -- -- 2020 წლის 7 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს კონკრეტული ფაქტები. მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დასადასტურებლად ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში ჩამოყალიბებული წინაპირობების მიღმა, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას მთელი რიგი სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებები.

საჩივრის ავტორის მტკიცებით, მოსამართლემ გააჭიანურა გადაწყვეტილების მომზადებისათვის კანონით განსაზღვრული ვადა, რამაც მას ფაქტობრივად წაართვა მისი გასაჩივრების უფლება.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ სასამართლომ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (იხ. Golderc. Royaume-Uni, 21 février 1975, §28-36, série Ano 18). სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (იხ. Hornsby, ხსენებული ზემოთ §§40

და შემდგომ). სტრასბურგის სასამართლომ მართლმსაჯულების ეფექტიანად აღსრულების გამოჩენაზე ყურადღება გაამახვილა მოცემულ საქმეებში (Vermeulenv. Belgium, §34; Lobo Machadov. Portugal, §32). მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას („დინეტი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Diennetv. France, §33); „მარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Martiniev. France [GC], §39)).

ქვეყნის შიდა კანონმდებლობა განსაზღვრავს კონკრეტულ ვადებს, რომელიც განსაზღვრულია დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, „სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების ან 259 მუხლის შესაბამისად, ასევე 259^1 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ“.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259^1 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს“.

ამდენად, აღნიშნული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, მხარისათვის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენა იწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, „საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე“. ამავე კოდექსის 60-ე მუხლის თანახმად, „წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი“.

მოსამართლემ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოაცხადა 2020 წლის 24 სექტემბერს. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა ამოიწურა - 2020 წლის 7 ნოემბერს. საქმის მასალებით დასტურდება, ხომ მხარემ გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა 2020 წლის 2 ნოემბერს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა 2014 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებაში ყურადღებას ამახვილებს ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე, კერძოდ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259^1-ე თანახმად, გასაჩივრების მსურველ მხარეს გააჩნია არა უფლება, არამედ ვალდებულება ჩაიბაროს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე“.

მნიშვნელოვანია ასევე ის გარემოება, რომ საჩივრის ავტორი, რომელიც არის კასატორი, არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ პირს, რომლისთვისაც გადაწყვეტილების ასლის გაგზავნას უზრუნველყოფს თავად სასამართლო, არამედ სსსკ-ის 259^1 მუხლის საფუძველზე, იგი ვალდებული იყო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღის ვადაში გამოცხადებულიყო სასამართლოში გადაწყვეტილების

ჩაბარების მიზნით, თუმცა საქმის მასალებით დასტურდება, რომ ამ პერიოდის განმავლობაში იგი არ მისულა სასამართლოში და არც განცხადება წარუდგენია გადაწყვეტილების ასლის მიღების თაობაზე.

გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით განცხადება სასამართლოს 2020 წლის 16 ოქტომბერს წარუდგინა -- --, მაშინ როდესაც გადაწყვეტილების მომზადების ვადა არ იყო ამოწურული. საჩივრის ავტორის მითითებით, მოსამართლის ამ ქმედებით მას შეეზღუდა კონსტიტუციური უფლება, რასაც სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა ჰქვია, მაშინ როდესაც მის მიერ წარდგენილ იქნა საკასაციო საჩივარი კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში.

აქვე, უნდა აღინიშნოს 2020 წლის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებული მოვლენები. კერძოდ, 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი გამოაცხადა პანდემიად, მისი მასობრივი გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევების გათვალისწინებით 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პრეზიდენტის მიერ გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და პრეზიდენტის მიერ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით გამოიცა დეკრეტი (აღნიშნული დამტკიცდა პარლამენტის დადგენილებით 2020 წლის 21 მარტს). 2020 წლის 21 აპრილს პრეზიდენტის №2 ბრძანებით გაგრძელდა საგანგებო მდგომარეობა 22 მაისის ჩათვლით. ამას წინ უძღოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1 რეკომენდაცია „კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად სასამართლო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომელიც აწესებდა ახალ რეგულაციებს სასამართლოში საქმეთა განხილვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა მოსამართლეთა მიერ მათ წარმოებაში არსებული საქმეთა განხილვის გადადებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმეთა განხილვის ვადების გათვალისწინებით.

მოსამართლის სტატისტიკური მონაცემების, მასზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობისა და მოსამართლის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობის გათვალისწინებით, მისი მხრიდან საპროცესო ვადის ბრალეულად დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე

დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №143/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი